

ეკონომიკის ზოგიერთი ტერმინის შესახებ

უკანასკნელ ხანებში სადავოდ იყო გამხდარი ეკონომიკის ზოგიერთი ტერმინის საკითხი. ამის შედეგად ეკონომიკის დარგში გამოყენებულ ნაშრომებში ზოგიერთი ძირითადი ცნების აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინი იყო გამოყენებული. ეს მოვლენა თავს იჩენდა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა თხზულებების ქართულად თარგმნის დროსაც. უკანასკნელ ხანს ვ. ი. ლენინის თხზულებათა ახალი ქართული გამოცემის მომზადებასთან დაკავშირებით კვლავ დაისვა საკითხი რამდენიმე ტერმინისა. ეს ტერმინებია:

Экономический, რომლის ქართულ შესატყვისად იხმარება ეკონომიკური და ეკონომიური;

Воспроизводство, რომლის ქართულ შესატყვისად იხმარება აღწარმოება, კვლავწარმოება (და რეპროდუქცია);

Производительные силы, რომლის ქართულ შესატყვისად იხმარება მწარმოებლური ძალები და საწარმოო ძალები;

Производительный труд — მწარმოებლური შრომა, ნაყოფიერი შრომა, პროდუქტიული შრომა;

Производительность труда — შრომის მწარმოებლურობა, შრომის ნაყოფიერება, შრომის პროდუქტიულობა;

Кустарь — შინამრეწველი, კუსტარი;

Кустарная промышленность — შინამრეწველობა, კუსტარული მრეწველობა;

Кустарный промысел — კუსტარული სარეწი;

Кустарное производство — კუსტარული წარმოება;

Домашнее производство — შინაწარმოება, შინწარმოება, საშინაო წარმოება;

Домашняя промышленность — შინამრეწველობა, შინმრეწველობა, საშინაო მრეწველობა;

Семейное производство — საოჯახო წარმოება, ოჯახური წარმოება.

სათანადო სპეციალური ნაშრომების საფუძველზე, აგრეთვე სხვადასხვა დაწესებულებებისა თუ ცალკეულ სპეციალისტ-ეკონომისტთა მოსაზრებების გათვალისწინებით მიღებულია შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. ეკონომია და ეკონომიკა ფუძეებისაგან ზედსართავ სახელთა წარმოება დაქვემდებაროს თანამედროვე ქართულ სალიბერალურ ენაში დამკვიდრებულ და გაბატონებულ სიერთო ნორმას: გაირჩეს

ამ ფუძეთაგან ნაწარმოები ზედსართავი სახელები ერთმანეთისაგან (ისევე, როგორც რუსულ ენაშია გარჩეული). ამისათვის გამოყენებულ იქნეს, ერთი მხრით, -ურ სუფიქსიანი წარმოება (ეკონომიკ-ურ-ი და ეკონომი-ურ-ი), ხოლო, მეორე მხრით, მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ნათესაობითი ბრუნვის ფორმა (ეკონომიკ-ის), რომელიც ფართოდაა გავრცელებული ქართულში ამ ფუნქციით. მაგალითად, არსებობს ერთადერთი ფორმა — თბილისის უნივერსიტეტი და არ ითქმის თბილისური უნივერსიტეტი (ნასესხებ სიტყვათაგან ზედსართავ სახელთა წარმოების შესახებ ქართულში იხ. „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები“, I, თბილისი, 1970, გვ. 125-128).

რუსულ ენაში, ერთი მხრით, არის **экономический**: экономические законы, экономические процессы, экономический кризис, экономический совет, экономическая политика, экономическая зависимость, экономические правила, экономическая наука, экономическая география, экономический район, экономическое сотрудничество, экономическое совещание, экономические требования, экономическое исследование, экономический журнал, доктор (кандидат) экономических наук და სხვ.

ამის შესაბამისად ქართულში გვექნება -ურ სუფიქსით ნაწარმოები ფორმა **ეკონომიკ-ურ-ი**, როცა წარმოებისას ამოსავლია არსებითი სახელის ფუძე — **ეკონომიკა**: ეკონომიკური კანონები, ეკონომიკური პროცესები, ეკონომიკური კრიზისები კაპიტალისტურ ქვეყნებში, ეკონომიკური პოლიტიკა, ეკონომიკური გამოკვლევა, ეკონომიკური თათბირი, ეკონომიკური რაიონი და ა. შ. (საცხებით ისევე, როგორც გვაქვს სალიტერატურო ქართულში სრულიად უდავო ფორმები: პოლიტიკა — პოლიტიკ-ურ-ი, ტაქტიკა — ტაქტიკ-ურ-ი, სტატისტიკა — სტატისტიკ-ურ-ი, პრაქტიკა — პრაქტიკ-ულ-ი, არქტიკა — არქტიკ-ულ-ი, კოსმეტიკა — კოსმეტიკ-ურ-ი და სხვ.), ხოლო, მეორე მხრით, გვექნება ნათესაობითი ბრუნვის ფორმები: ეკონომიკის ფაკულტეტი, ეკონომიკის ინსტიტუტი, ეკონომიკის ტერმინოლოგია და სხვ.

რუსულში, მეორე მხრით, არის **экономичный**: экономичная машина, экономичные материалы, экономичное строительство, экономичный метод... და მისგან ნაწარმოები **экономичность**: экономичность двигателя, экономичность перевозок..., აგრეთვე ზმნისართი **экономично**. არის აგრეთვე ცალკე **экономный** და **экономность**, ასევე ზმნისართი **экономно**.

ამის შესაბამისად ქართულში გვექნება ეკონომიური: ეკონომიური მანქანა, ეკონომიური მასალები, ეკონომიური მეთოდი... ტერმინ **экономичность**-ის შესატყვისად — ეკონომიურობა: ძრავას ეკონომიურობა, გადაზიდვათა ეკონომიურობა... იმავე ეკონომიურ-ის საშუალებით გადმოიცემა ქართულში **экономный**-ც.

2. რუსული **воспроизводство**-ს ქართულ შესატყვისად ამჟამად გამოყენებულია ორი ტერმინი — აღწარმოება და კვლავწარმოება. ორივე კალკია რუსული **воспроизводство**-სი და ევროპული ენებიდან შემოსული რებროდუქცისა; ორივე მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა თხზულებების ქართულად თარგმნის პროცესშია შექმნილი. შესაძლებლადაა მიჩნეული, ორივე ეს ტერმინი დარჩეს **воспроизводство**-ს ქართულად გადმოსაცემად, ოღონდ ამჯერად უპირატესობა მიეცეს **კვლავწარმოება**-ს, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების თხზულებათა ქართულ თარგმანებშია ამჟამად გამოყენებული.

შენიშვნა: ამ ტერმინისაგან (**კვლავწარმოება**) ზმნის ფორმათა წარმოებისას საწარმოებელ ფუძედ მხოლოდ ზმნური ფუძე იქნეს გამოყენებული და **კვლავ**- ელემენტი მიღებულ ფორმას დაერთოს წინ, ოღონდ დეფისით გამოიყოს მისგან: **კვლავ-აწარმოებს** (და არა **აკვლავწარმოებს**), **კვლავ-აწარმოვა**, **კვლავ-წარმოებული**, **კვლავ-საწარმოებელი** და მისთ.

3. **Производительные силы**-ს ქართულ შესატყვისად მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული ტრადიციული (და უფრო გავრცელებული) ტერმინი **საწარმოო ძალები**. ამის შესაბამისად **производительный труд** ქართულად გადმოიცეს ასე: **ნაყოფიერი შრომა**, ხოლო **производительность труда** — ასე: **შრომის ნაყოფიერება**.

4. **Домашнее производство** ქართულად გადმოიცეს როგორც **საშინაო წარმოება**; **домашняя промышленность** — როგორც **საშინაო მრეწველობა**; **семейное производство** — როგორც **საოჯახო წარმოება**.

5. ტერმინები — **кустарь, кустарная промышленность, кустарный промысел, кустарное производство**, რომელთაც ლენინის თხზულებათა სათანადო კონტექსტებში სპეციფიკური შინაარსი აქვთ, ამ შემთხვევაში გადმოიცეს როგორც **კუსტარი**, **კუსტარული მრეწველობა**, **კუსტარული სარეწი** და **კუსტარული წარმოება**.

საერთოდ კი **кустарь**-ის შესატყვისად ქართულში დამკვიდრდეს **შინამრეწველი**, ხოლო **кустарная промышленность**-ის შესატყვისად — **შინამრეწველობა**.

სახალხო დემოკრატიის საბჭო (საბჭოთა) თუ სახალხო
დემოკრატიის საბჭო (საბჭოთა)?

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში -თ-ა სუფიქსიანი მრავლობითი ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციით ფართოდაა გამოყენებული, განსაკუთრებით, ტერმინოლოგიური მიზნებით და ზედსართავი სახელის მაგივრობას ასრულებს: კლასთა ბრძოლა, საბჭოთა წყობილება, მუშათა კლასი, პროფკავშირთა საბჭო, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე, მშობელთა საბჭო... ბევრ ამგვარ შემთხვევაში -ებ სუფიქსიანი მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა -თ-ა სუფიქსიანი მრავლობითს ვერ ცვლის: არ იხმარება მუშების კლასი, კლასების ბრძოლა, პიონერების სასახლე...

ამასთანავე, სტილის მოთხოვნილებათა შესაბამისად, -თ-ა- სუფიქსიანი და -ებ სუფიქსიანი მრავლობითის ფორმები ბუნებრივად ეხამებიან ერთმანეთს. უდრ.: მოკავშირე * რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოები.

ამის გამო იყო, რომ, როდესაც გვქონდა Советы депутатов трудящихся, ქართულ ენაზე ამას შეესატყვისებოდა მშრომელთა დეპუტატების საბჭოები (და არა მშრომელთა დეპუტატთა საბჭოები ან მშრომელების დეპუტატების საბჭოები). ამჟამად, როცა გვაქვს Советы народных депутатов, იგი შეიძლება გადმოიცეს ქართულად ან როგორც სახალხო დეპუტატების საბჭოები, ან როგორც სახალხო დეპუტატთა საბჭოები.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო ამ ორი შესაძლებელი ფორმიდან უპირატესობა უნდა მიეცეს მეორეს — -თ-ა- სუფიქსიანი ფორმას და ამის მიხედვით გვექნება: სახალხო დეპუტატთა საბჭოები, ისევე როგორც გვაქვს ანალოგიურ შემთხვევებში, მაგ., მინისტრთა საბჭო, ეროვნებათა საბჭო და მისთანანი.

მამრცობი - ა-ს ხმარება თანამედროვე სალიბერატურო ქართულში

ახალ ქართულ სალიბერატურო ენაში სახელებს, ზოგ ფორმა-
უცვლელ სიტყვას და, იშვიათად, ზმნებსაც კი გარკვეულ შემთხვე-
ვაში შეიძლება დაერთოს -ა ხმოვანი, რომელიც მავრცობის როლს
ასრულებს.

-ა ხმოვნის ხმარების ორი ძირითადი შემთხვევა შეინიშნება:
პირველი, როდესაც ეს -ა აუცილებელია, მის გარეშე სიტყვა არ
იხმარება, და მეორე, როდესაც მისი ხმარება ასეთი აუცილებლო-
ბით არ არის გამოწვეული.

პირველი რიგის შემთხვევები სალიბერატურო ენაში დავას არ
ჩვენებს, კერძოდ:

1. -ა ხმოვანი უთუოდ გამოვლინდება თანხმოვანზე გათავებულ
სიტყვებში -ც(ა) ნაწილაკის წინ (წამალსაც, სახლისაც, მუშაობი-
თაც, საფლავადაც, შენგანაც, თვითონაც, უწინაც, აქაც,...).
გამონაკლისს წარმოადგენს: შენც, ჩვენც, თქვენც, ვინც, რო-
გორც...

2. აუცილებელია -ა ხმოვნის ხმარება სახელის მიცემითი ბრუნ-
ვის ფორმებთან, როდესაც მას -ვით თანდებული ერთვის (კალია-
სავით, მზესავით, ხბოსავით...).

3. ჩვეულებრივ, -ა ხმოვნის გარეშე არ იხმარება ნათესაობით
ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი, როდესაც ის საზღვრულს მოს-
დევს (ძალა სიყვარულისა, ხმამ დედისამ, მუშაობას გიორგი-
სას...).

4. მავრცობი -ა მუდამ ახლავს სიტყვას, თუ ეს სიტყვა, ჩვეულებ-
რივ, იკუთხებს მას და, ამასთანავე, შედგენილი შემასმენლის სახე-
ლადი ნაწილია (ქვისაა, დავითისაა, კარგადაა, იმიტომაა,
აქაა...).

5. როდესაც და ან თუ ვაგშირითაა შეერთებული მიცემით
ანდა ნათესაობით ბრუნვაში წარმოდგენილი ორი სახელი, რომელ-
თაგანაც მეორე თანდებულდართულია, პირველი აუცილებლად -ა
ხმოვანს საჭიროებს (ქვასა და კლდესავით, დიდსა თუ ბატარასთან,
მიწასა თუ ცაზე, სიმღერებსა და ცეკვებში...).

მეორე რიგის შემთხვევებში -ა არ წარმოადგენს სიტყვის აუცი-
ლებელ ელემენტს, მაგრამ გარკვეულ სიტუაციაში მაინც იხმარება,
სახელდობრ:

1. -ა ხმოვანი დასტურდება როგორც საკუთარ, ისე საზოგადო
სახელებსა და ნაცვალსახელებთან მიცემითი, ნათესაობითი, და

მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ფორმებში და, აგრეთვე, შესაფერის სიტუაციაში ხმოვანფუძიან სახელებსა და ნაცვალსახელებთან გამოვლინდება მოთხრობით ბრუნვაშიც (კაცსა, ბევრსა; მეფისა, რისა; ხმითა, ღონითა; ქულადა, შვილადა; ვანომა, სიძემა...).

2. ხშირად -ა ხმოვანი შესაფერის პირობებში დაერთვის ან აღდგება თანდებულებთანაც (ბავშვისთვისა, კესოსკენა, ერთგანა, წყაროსთანა, ცხენივითა...).

3. -ა ხმოვნით გავრცობილია ბევრი ისეთი ნაცვალსახელი, რომლებიც ბრუნვის ნიშნით არ არის გაფორმებული. ამ შემთხვევაშიც ზოგან აღდგება ეს ხმოვანი, ზოგან კი დაერთვის (შენა, ჩენა, თქვენა, ესა, ისა, ვინა...).

4. მავრცობი -ა ხშირად იხმარება ფორმაუცვლელ სიტყვებთან, ძირითადად — ზმნისართებთან, ზოგჯერ კი კავშირებსა და ნაწილაკებთანაც (აქა, შინა, წინა, ქვეშა, სადა, კიდეა, ძალიანა, იმიტომა...).

5. ხშირად სხვათა სიტყვის -ო ხმოვანი -ა ხმოვნით გავრცობილ ფორმას ერთვის და გარკვეულ სიტუაციაში ეს სრულიად ბუნებრივია (რალაცამო, გულითაო, თქვენაო, რადაო, მყინვარმაცაო...).

6. იშვიათად -ა ხმოვანი გვხვდება ზმნებთანაც. ასეთი შემთხვევები უფრო ხშირია სასაუბრო მეტყველებაში, ძირითადად, მრავლობითობის -თ-სა და სუბიექტური შესამე პირის ნიშნის -ს-ს შემდეგ (ნახესა და განიცადეს).

ყველა ამ შემთხვევაში -ა ხმოვანი არ წარმოადგენს სიტყვის აუცილებელ ელემენტს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი გამოყენება კანონზომიერია, მას თავისი გარკვეული ადგილი აქვს წინადადებაში და გარკვეულ პირობებში იხმარება. სახელდობრ, იგი ძირითადად გვხვდება: 1. წინადადებაში პაუზის წინ; 2. და, თუ კავშირების წინ; 3. მოკლე (ერთმარცვლიანი) და ისეთი ზმნების წინ, რომელთაც თავში (პირველ მარცვალში) ხმოვნის შემცველი მორფოლოგიური ელემენტი (ზმნისწინი, საწარმოებელი პრეფიქსი...) არ ახლავთ.

პაუზის წინ სახელთა -ა ხმოვანდართული ფორმები ერთგვარად ამთავრებს, ამოლოებს, ხშავს წინადადების გარკვეულ მონაკვეთს, და, თუ კავშირებისა და სათანადო ზმნების წინ კი მავრცობ -ა-ს ფონეტიკური საფუძველი აქვს, ჩნდება რიტმულ-ფონეტიკური მიზეზებით და წარმოთქმის გარკვეულ კანონზომიერებებთან არის დაკავშირებული.

-ა ხმოვანს, მიუხედავად მისი გავრცელებულობისა, არავითარი მორფოლოგიური ფუნქცია არა აქვს და იგი სტილისტიკური დანიშნულებისაა. ამიტომ მისი ხმარებაც ინდივიდუალურია და ყველა მწერლის ნაწერებში იგი ერთნაირად არ არის წარმოდგენილი (უფრო ხშირია აღმოსავლეთ საქართველოდან გამოსულ მწერალთა ნაწარმოებებში).

დღევანდელი ქართულისათვის იგი ნაკლებ დამახასიათებელია. განსაკუთრებით იშვიათად იხმარება იგი წინადადებაში პაუზის წინ, რადგანაც თანამედროვე ენაში ერთგვარად შეიცვალა სიტყვათა რიგი და პაუზასთან მეტწილ შემთხვევაში ზმნა აღმოჩნდა, რის შედეგადაც შეიზღუდა ამ -ა-ს ხმარების შესაძლებლობა.

დღევანდელი სალიტერატურო ქართულისათვის ჩვეულებრივი და ბუნებრივი სწორედ ისეთი წინადადებებია, რომლებშიც ზმნაა წინადადებისა თუ მისი გარკვეული, ინტონაციურად გამოკვეთილი ნაწილის დამაბოლოებელი და, ამის გამო, იმ შემთხვევებშიც, როცა სახელი ბუნებრივად ექცევა პაუზასთან, მასზე მავრცობი -ა-ს დართვა ამჟამებს და დიალექტურ ელფერს აძლევს ფრაზას.

ასევე არ არის ყოველთვის ბუნებრივი თანამედროვე ქართულის თვალსაზრისით მავრცობი -ა ზმნების წინ, რადგანაც ამ შემთხვევაშიც ფრაზა უმეტესად სასაუბრო ელფერს იღებს.

რაც შეეხება და, თუ კავშირების წინ ხმარებულ -ა ხმოვანს, ამ რიგის შემთხვევებში იგი უფრო ბუნებრივია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენისათვის (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს კავშირები აერთებს ზმნებს).

ზემოთქმულის მიხედვით უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. თანამედროვე სალიტერატურო ქართულ ენაში მავრცობი -ა-ს ხმარება სავსებით ბუნებრივია და მართებული და, თუ კავშირების წინ, როცა ეს კავშირები აერთებს ორ სიტყვას (გარდა ზმნებისა): დასა და ძმას, მიწისა თუ ცის, წინა და უკან, ამასა თუ იმას...

2. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული (განსაკუთრებით ერთმარცვლიანი) ზმნების წინ -ა ხმოვნის გამოყენება თითქოს გამართლებულია, უპირატესობა მაინც უხმოვნო ფორმებს უნდა მიეცეს: შვილივით ზრდიდა და არა — შვილივითა ზრდიდა; ცოცხალს სჯობს და არა — ცოცხალსა სჯობს..., გარდა საყოველთაოდ გავრცელებული ისეთი გამოთქმებისა, როგორიცაა: აქა ვარ, ვინა ხარ? სადა ხარ? როგორა ხარ? იქა მაქვს, არა მყავს, არა მაქვს და მისთ.

სადაურობის სახელთა წარმოება -ით და -ის სუფიქსების შემცველ გომორაზიულ სახელთაგან

ქართულ ენაში გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებლად სხვა აფიქსთა გვერდით ხშირად გამოიყენება თ-ს შემცველი რამდენიმე ბოლოსართი. ესენია:

-ათ (გელ-ათ-ი, რცხილ-ათ-ი, ჩოჩხ-ათ-ი, გეზ-ათ-ი, ცუცხ-გ-ათ-ი...);

-ეთ (თელ-ეთ-ი, კაკაბ-ეთ-ი, ორბ-ეთ-ი, ნიგოზ-ეთ-ი, ქორ-ეთ-ი...);

-ით (ბაჯ-ით-ი, ძიმ-ით-ი, კვალ-ით-ი, ხრე-ით-ი...);

-ოთ (რიკ-ოთ-ი, იკ-ოთ-ი, რუფ-ოთ-ი, ქოქ-ოთ-ი...);

-უთ (გეგ-უთ-ი, ლანჩხ-უთ-ი, უხ-უთ-ი, შუქრ-უთ-ი, მუხ-უთ-ი...).

ამათვე ეკედლება -თა სუფიქსიანი ფორმები: დვალ-თა, ჩხიკვ-თა, ბუჩუკურ-თა, გოგოლაურ-თა, ცაბაურ-თა, მცხე-თა, ხანძ-თა, კავ-თა...

ასეთ გეოგრაფიულ სახელთაგან (ისევე როგორც სხვა გეოგრაფიულ სახელთაგან) სადაურობის სახელები იწარმოება -ელ და -ურ ბოლოსართების დართვით: წარმოებისას ამოსავალ ფუძედ გამოყენებულია თ-ს შემცველი აფიქსით გაფორმებული სათანადო ფუძე, ე. ი. ბოლოსართები -ათ, -ით, -ოთ, -უთ, -თა შედის საწარმოებელ ფუძეში: თეკლ-ათ-ი — თეკლათ-ელ-ი, თეკლათ-ურ-ი; კვალ-ით-ი — კვალით-ელ-ი, კვალით-ურ-ი, რუფ-ოთ-ი — რუფოთ-ელ-ი, რუფოთ-ურ-ი; გეგ-უთ-ი — გეგუთ-ელ-ი, გეგუთ-ურ-ი; მცხე-თა — მცხეთ-ელ-ი, მცხეთ-ურ-ი...

ასეა თანამედროვე ქართულში, ასე იყო ძველ ქართულშიც.

გამონაკლისს წარმოადგენს -ეთ სუფიქსიანი გეორგაფიული სახელები. ასეთი სახელებისაგან სადაურობის სახელთა წარმოებისას ამოსავალ ფუძედ აღებული იყო მარტივი ფუძე, -ეთ სუფიქსის გარეშე: ენაგ-ეთ-ი — ენაგ-ელ-ი, კარალ-ეთ-ი — კარალ-ელ-ი, ტბ-ეთ-ი — ტბ-ელ-ი, ფიტარ-ეთ-ი — ფიტარ-ელ-ი, ყანჩა-ეთ-ი — ყანჩა-ელ-ი (შემდგომ: ყანჩა-ვ-ელ-ი), ცხირ-ეთ-ი — ცხირ-ელ-ი, წოდორ-ეთ-ი — წოდორ-ელ-ი, თიან-ეთ-ი — თიან-ელ-ი...

ასევე -ურ სუფიქსის დართვისას: ენაგ-ეთ-ი — ენაგ-ურ-ი; თიან-ეთ-ი — თიან-ურ-ი.

ამგვარი წარმოება ძველი ქართულისათვის ნორმა იყო და ეს წესი გადმოეცა ახალ ქართულსაც, მაგრამ გამონაკლისები ძველსავე

ქართულში გვხვდება: წარმოებისას ზოგჯერ ამოსავლად -ეთ სუფიქსდართული ფუძეა გამოყენებული — უმეტესად ერთმარცვლიან ფუძეებთან: რუ-ეთ-ი — რუ-ეთ-ელ-ი, ბრ-ეთ-ი — ბრ-ეთ-ელ-ი (პირის ბრეთელი: ქრონიკები); ხოლო უფრო გვიან, XVII-XVIII საუკუნეებში — ერთზე მეტმარცვლიან ფუძეებთანაც, მაგალითად: თელ-ეთ-ელ-ი, კარგარ-ეთ-ელ-ი...

XIX საუკუნეში უკვე ასეთი წარმოება ბატონდება და ეს ტენდენცია ისე გაძლიერდა, რომ -ეთ სუფიქსდართული ფორმები ზოგჯერ გვხვდება იქ, სადაც მოსალოდნელი არ იყო: მაგ., ი. გოგებაშვილი ხმარობს ფორმას რუსეთელი, ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებში გვხვდება ფორმები: უცხოეთელი, ჩინეთური.

ასეთი ფორმები სალიტერატურო ენაში შემდგომ ვერ დამკვიდრდა ამ და ბევრ სხვა კონკრეტულ შემთხვევაში, მაგრამ წარმოებისას -ეთ სუფიქსიანი ფორმები გახშირდა და გაბატონდა. დღევანდელ ქართულში ჩვეულებრივია: ენაგეთელი, კაკაბეთელი, კლდეეთელი, არგვეთელი, კარაღეთელი, თრიაღეთელი და მისთ. მაგ.: „წკვარამეთელი, უკუნეთელი, კვირიკეთელი, კაკაბეთელი და წიფნავარელი ბავშვები ბონდისხილელი ბავშვებისაგან თითქმის არაფრით განსხვავდებიან“ (ნ. დუმბაძე).

ამავე დროს არაერთ შემთხვევაში ძველი ფორმებიც არაა უცხო დღევანდელი ქართულისათვის და განსაკუთრებით სასაუბრო მეტყველებაში იხმარება, მეტწილად ამოსავლეთ საქართველოში. მაგ.: თიანელი, დუშელი, ბოლნური..., თუმცა ეს წარმოება დასავლური დიალექტებისათვისაც არაა უცხო: სიმონეთი — სიმონელი.

-ეთ სუფიქსიან სახელთაგან წარმოების ანალოგიურია -ის სუფიქსიან სახელთაგან სადაურობის სახელთა წარმოება.

ძველ ქართულში ასეთ შემთხვევაში ამოსავალი იყო მარტივი ფუძე, -ის სუფიქსი წარმოებისას არ ჩანდა: პანკ-ის-ი — პანკ-ელ-ი („კახეთიცა პანკელსა თორღუს შევედრა“: ქრონიკები); ტფილ-ის-ი — ტფილ-ელ-ი (აბო ტფილელი, იოსებ ტფილელი...); დმან-ის-ი — დმან-ელ-ი, ურბნ-ის-ი — ურბნ-ელ-ი...

მაგრამ ამ შემთხვევაშიც იმავე მოვლენამ იჩინა თავი, რაც -ეთ ბოლოსართიან სახელთაგან სადაურობის წარმოებისას: მანგლელის გვერდით მანგლისელი ჩნდება, ხოლო მროველის გვერდით — რუისელი...

შენიშვნა: ორი ერთგვარი ფორმის გაჩენას შედეგად ზოგჯერ მნიშვნელობის თვალსაზრისით დიფერენციაცია მოჰყოლია,

ერთ-ერთი ტერმინად იქცა. მაგ: **ქუთათელი** ქუთაისის ეპისკოპოსის სახელად გამოიყენება, **ქუთაისელი** (და **ქუთათური**) კი ქუთაისის მკვიდრია; **მროველი** რუისის ეპისკოპოსია, **რუიხელი** — სოფ. რუისის მკვიდრი („ჩვენ, მეფეთ-მეფემან ხელმწიფემან პატრონმა შაჰნავაზ ურბნელისა და რუიხელთა სალაპარაკო საქმე გავსინჯეთ... ურბნელი ნურც ქრთამსა და ნურც ძღვენსა ნუ სთხოვს და ნურც რუიხელნი დალასა დაუმაღავენ“: ისტ. საბ.).

შემდგომ ახალი ფორმები კიდევ უფრო ვრცელდება და თანამედროვე სალიტერატურო ენაში -ის სუფიქსიანი ფუძისაგან წარმოება წესად იქცევა. ჩვეულებრივია ფორმები: **ბოლნისელი** (**ბოლნისელი** მევენახეები), **რუიხელი**, **ურბნისელი**, **ნიჩბისელი**, **თბილისელი** („თბილისი და თბილისელები“), **ქუთაისელი**, **კრწანისელი** და მისთ. ასეთია განვითარების ტენდენცია, ასეთი ფორმები ნორმად ახალ სალიტერატურო ქართულში.

მიუხედავად ამისა, ზოგი სახელი ძველი წარმოებისა, როგორცაა, ვთქვათ, **თიანელი** და **თიანური**, **დუშელი**, **ქვიშხელი**, **კაკაბელი**, **წავკელი** და რამდენიმე სხვა, — ჯერ კიდევ ცოცხალია, განსაკუთრებით, არალიტერატურულ, სასაუბრო მეტყველებაში. აქედან ეს ფორმები გზას იკაფავს მხატვრული ლიტერატურის ენაშიც და შესაძლებელია დარჩეს ძირითად ფორმათა პარალელურად სტილებრივი მიზნებისათვის.

ძველი წარმოების ისეთი ფორმები, როგორცაა: **ჰორიზონტის მსარეთა აღმნიშვნელ ფუძეთაგან ნაწარმოები სახელები** (აღმოსავლეთი — **აღმოსავლელი**, **აღმოსავლური**; დასავლეთი — **დასავლელი**, **დასავლური**; ჩრდილოეთი — **ჩრდილოელი**, **ჩრდილოური**; სამხრეთი — **სამხრელი**, **სამხრული**), საქართველოს ზოგი კუთხის სახელისაგან ნაწარმოები ეთნონიმური სახელები (იმერეთი — **იმერელი**, **იმერული**; კახეთი — **კახელი**, **კახური**; ჯავახეთი — **ჯავახელი**, **ჯავახური**, აგრეთვე ზოგი უცხო ქვეყნის -ეთ ბოლოსართიანი სახელწოდებისაგან ნაწარმოები სახელები (ჩინეთი — **ჩინელი**, **ჩინური**; უფრო ახალი: ესპანეთი — **ესპანელი**, **ესპანური**; ბულგარეთი — **ბულგარელი**, **ბულგარული**; რუმინეთი — **რუმინელი**, **რუმინული**), რა თქმა უნდა, უცვლელი დარჩება, მათი საკითხი თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში არ დაისმის.

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში კაუზატივის (ზმნის შუალობითი კონტაქტის) ფორმები ნაწარმოებია -ინ და -ევინ სუფიქსებით. მოწესრიგებულა ამ სუფიქსთა გამოყენება სხვადასხვაგვარი ფუძის მქონე ზმნებთან. ზმნათა უმეტესობასთან, კერძოდ, -ებ, -ობ, -ოფ, -ემ სუფიქსებიან, ერთთემიან (აგრეთვე ფუძედრეკად) ზმნებთან, -ავ და -ი სუფიქსიანთაგან კი — ისეთებთან, რომლებსაც მარტივ ფუძეში ხმოვანი აქვთ, გამოყენებულია -ინ სუფიქსი, ე. ი. -ინ სუფიქსი აწარმოებს ისეთი ზმნების კაუზატივის ფორმებს, რომელთა მარტივი ფუძე ხმოვნის შემცველია. -ევინ სუფიქსი კი კაუზატივის ფორმებს აწარმოებს მხოლოდ უხმოვნო ფუძეებისაგან (ა-დგ-მ-ევინ-ებ-ს, ა-რგ-ვ-ევინ-ებ-ს, ა-წვ-ევინ-ებ-ს, ა-ზრდ-ევინ-ებ-ს და მისთ).

მაგრამ თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის, პრესის (აგრეთვე რადიოსა და ტელევიზიის) ენაში გვხვდება კაუზატიურ ფორმათა არასწორად წერის (და წარმოთქმის) შემთხვევები.

კაუზატივის ფორმათა მართლწერის დარღვევები შემდეგი ხასიათისაა:

1. ხმოვნებს შორის დაკარგულია ნ თანხმოვანი -ინ, -ევინ სუფიქსებისა. გვხვდება, ერთი მხრივ:

აშენებიებს, ათბობიებს, აყოფიებს, ატეხიებს, ათმენიებს, ახატვიებს, აგზავნიებს, ათხოვიებს და მისთ.

ააშენებია, გაათბობია, გააყოფია, გაატეხია, მოათმენია, დაახატვია, გააგზავნია, ათხოვია...

ააშენებიოს, გაათბობიოს, გააყოფიოს, გაატეხიოს, მოათმენიოს, დაახატვიოს, გააგზავნიოს, ათხოვიოს...

მეორე მხრივ: ადგმევიებს, აბმევიებს, არგვევიებს, ახენევიებს, აწვევიებს, აზრდვევიებს, ამკვევიებს და მისთ.

დაადგმევია, დააბმევია, დაარგვევია, მოახენევია, შეაწვევია, გააზრდევია, მოამკვევია...

დაადგმევიოს, დააბმევიოს, დაარგვევიოს, მოახენევიოს, შეაწვევიოს, გააზრდევიოს, მოამკვევიოს...

2. დაკარგულია ზმნის ფუძისეული ან კაუზატივის -ევინ სუფიქსისეული ვ თანხმოვანი: აცლენებს, აკვრენებს, ახენენებს, შეაჰმენებს („გულს არავის შეაჰმენებს“), გამოაწენებს, გაათინებს და მისთ. ნამყო სრულში: დააცლენა, შეაკვრენა, მოახენენა, შეაჰმენა, გამოაწენა, გაათინა და მისთ.

3. იკარგება -ავ თემისნიშნისეული ვ თანხმოვანი -ინ სუფიქსით ნაწარმოებ კაუზატივის ფორმებში:

აწმყოში: აბედინებს, აბეჭდინებს, აზიდინებს, აკაზმინებს, აკარგინებს, აკერინებს, ალოცინებს, ამართინებს, ანაყინებს, აქელინებს...

ნამყო სრულში: გააბედინა, დააბეჭდინა, მოაზიდინა, შეაკაზმინა, დააკარგინა, შეაკერინა, დაალოცინა, გაამართინა, დაანაყინა, გააქელინა...

ყოველივე ამის გამო საჭირო ხდება სპეციალურად ყურადღების გამახვილება კაუზატივის ფორმათა მართლწერაზე.

საჭიროა სრულად იქნეს დაცული კაუზატივის -ინ და -ევინ მაწარმოებლები ზმნათა კაუზატივის ფორმებში, დაუშვებელია რომელიმე თანხმოვნის გამოტოვება.

ამის გათვალისწინებით სალიტერატურო ქართულში უნდა დამკვიდრდეს კაუზატივის შემდეგი ფორმები:

1. -ინ სუფიქსიანები:

აწმყოში: აშენებინებს, ათბობინებს, აყოფინებს, აცემინებს, ატეხინებს, ათმენინებს, აღრეკინებს, აგზავნინებს, ათხოვინებს და მისთ. (და არა: აშენებიებს, ათბობიებს...).

ნამყო სრულში: ააშენებინა, გაათბობინა, გააყოფინა, აცემინა, გაატეხინა, მოათმენინა, მოაღრეკინა, გააგზავნინა, ათხოვინა და მისთ. (და არა: ააშენებია, გაათბობია...).

მეორე კავშირებითში: ააშენებინოს, გაათბობინოს, გააყოფინოს, აცემინოს, გაატეხინოს, მოათმენინოს, მოაღრეკინოს, გააგზავნინოს, ათხოვინოს და მისთ. (და არა ააშენებინოს...).

2. -ევინ სუფიქსიანები:

აწმყოში: აცლევინებს, აკვრევიანებს, ახვნივინებს, შეაჭმევიანებს (გულს), აწვევიანებს, ათევიანებს და მისთ. (და არა: აცლევინებს, აკვრევიანებს...).

ნამყო სრულში: დააცლევინა, შეაკვრევიანა, მოახვნივინა, შეაჭმევიანა (გული), გამოაწვევიანა, გაათევიანა და მისთ (და არა: დააცლევინა, შეაკვრევიანა...).

3. -ავ თემისნიშნისანიანთაგან -ინ სუფიქსით ნაწარმოებნი:

აწმყოში: აბედვინებს, აბეჭდვინებს, აზიდვინებს, აკაზმვინებს, აკარგვინებს, აკერვინებს, ალოცვინებს, ამართვინებს, ანაყვინებს, აქელვინებს... (და არა: აბედინებს, აბეჭდინებს, აზიდინებს, აკაზმინებს და ა. შ.).

ნამყო სრულში: გააბედვინა, დააბეჭდვინა, მოაზიდვინა, შეაკაზ-
მვინა, დააკარგვინა, შეაკერვინა, დაალოცვინა, გაამართვინა, დაანა-
ყვინა, გააქელვინა... (და არა: გააბედინა, დააბეჭდინა, მოა-
ზიდინა, შეაკაზმინა და ა. შ.).

4. დაუშვებელია აგრეთვე ზმნის სუფიქსისეული ვ (ჯ-ევ) ან
ნ (ჯ-ენ. -ან) თანხმონების გამოტოვება კაუზატივის მაწარმოე-
ბელი -ინ და -ევის სუფიქსების წინ. ამიტომ უნდა იყოს ასეთი
ფორმები:

დაანგრევენებს

დააძლევინებს

მოატანიებს

აწყენინებს

აპოვინებს

ათხოვინებს

აშოვინებს

და არა: დაანგრეინებს

და არა: დააძლევინებს

და არა: მოატაინებს

და არა: აწყეინებს

და არა: აპოვინებს

და არა: ათხოვინებს

და არა: აშოვინებს

ავადმყოფობს და შეურაცხყოფს ტიპის ზმნათა ზოგი ფორმის მართლწერისათვის

1. ავადმყოფობს ტიპის ზმნათა ჯგუფში გაერთიანებულია რთული სახელებისაგან (კომპოზიტებისაგან) ნაწარმოები ზმნები, შეურაცხყოფს ტიპის ზმნათა ჯგუფში კი — ე. წ. რთული ზმნები, ეს არის ორი არსებითად განსხვავებული აგებულების მქონე ზმნები, რომლებსაც ფორმათა ასევე არსებითად განსხვავებული წარმოება ახასიათებს. მაგრამ ფუძის აგებულების სირთულე ორსავე შემთხვევაში ფორმათა ანალოგიური წარმოების შესაძლებლობას ქმნის, რასაც ზოგჯერ ორთოგრაფიული შეცდომები მოსდევს. საკითხი ისმის იმ მერყეობის შესახებ, რომელიც ზოგ ზმნაში პირველი სუბიექტური პირის ნიშნის ადგილთან დაკავშირებით შეინიშნება. კერძოდ: ვავადმყოფობ ფორმის გვერდით შეიძლება შეგვხვდეს ავადმყოფობ; შეურაცხყოფ ფორმის გვერდით — შეურაცხყოფ. ასეთსავე ვითარებას გვიჩვენებს მსგავსი წარმოების მქონე სხვა ზმნებიც.

პირის ნიშნის ადგილის საკითხი ფუძის აგებულების შესაბამისად მარტივად გადაწყდება, თუკი ავადმყოფობს ტიპისა და შეურაცხყოფს ტიპის ზმნებს ერთმანეთისაგან გავმიჯნავეთ.

2. ავადმყოფობს ტიპის ზმნები სახელის ფუძეზე (ავადმყოფ-, ხელმძღვანელ-) -ობ სუფიქსის დართვით იწარმოება. ამავე წარმოების მქონე ფიქრობს, დარდობს და მისთ. ზმნათაგან მათ მხოლოდ ფუძის სირთულე განასხვავებს (ფიქრ-, დარდ- მარტივი ფუძეებია, ავადმყოფ-, ხელმძღვანელ- — რთული). ყალიბი ერთი და იგივეა: სახელის ფუძე + -ობ სუფიქსი. ამ ყალიბის ზმნები სპეციალურ ლიტერატურაში საშუალო გვარის ზმნათა სახელით არის ცნობილი და ამ ზმნებისათვის დამახასიათებელ უღვლილებას მისდევს.

რთული სახელებისაგან (კომპოზიტებისაგან) ნაწარმოები ზმნები: ავადმყოფობს, გულსისმობს, გულშემატკივრობს, დიდგულობს, დიდკაცობს, ენამახვილობს, ვაჟკაცობს, ზედამხედველობს, თავაკაცობს, თავმჯდომარეობს, თანამშრომლობს, თვალთმაქცობს, მთავარსარდლობს, მხედართმთავრობს, სულდგმულობს, ქედმალლობს, შუაკაცობს, შუამავლობს, შუამდგომლობს, ჩხირკედელაობს, წინამძღოლობს, ჭირისუფლობს, ხელმძღვანელობს, ხელსაქმობს და სხვ. ზმნათა ამ წყებას მიჰყვება -ებ სუფიქსიანი წინასწარმეტყველებს (პირობითად ამ ზმნებს შეიძლება ავადმყოფობს ტიპის ზმნები ეუწოდოთ).

3. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, ბიულეტენი 1-2.

ავადმყოფობს ტიპის ზმნები ძირითადად დრო-კილოთა აწმყოს წყებაში და უპირატესად მესამე პირის ფორმით იხმარება. პირველი და მეორე პირის ფორმათა გამოყენების შემთხვევები იშვიათია.

ყურადღებას იქცევს პირველი სუბიექტური პირის ნიშნის (ვ პრეფიქსის) ადგილის საკითხი ზემოთ დასახელებულ ზოგ ზმნასთან. იგი შეიძლება თავშიც შეგვხვდეს და რთული ფუძის კომპონენტებს (შემადგენელ ნაწილებს) შორისაც. მაგალითად, ასე: **ვ-ავადმყოფობ** და **ავად-ვ-მყოფობ**; **ვ-წინასწარმეტყველებ** და **წინასწარ-ვ-მეტყველებ**; **ვ-ხელმძღვანელობ** და **ხელ-ვ-მძღვანელობ**; **ვ-შუამდგომლობ** და **შუა-ვ-მდგომლობ**; **ვ-სულდგმულობ** და **სულ-ვ-დგმულობ**...

ნიმუშები:

ა) „**ავადმყოფობ**, გრიპი მჭირს“ („ცისკარი“); „ჩვენ **ვწინასწარმეტყველებდით**, რომ ასეთი პოლიტიკა ჩაიფუშებოდა“ („კომ.“); „აი, რით **ვხელმძღვანელობდით** ამ გადაწყვეტილების მიღებისას“ („საქ. ქალი“).

ბ) „... როცა **ავადმყოფობ**, მირჩენია შინ ვიავადმყოფო“ („თბილ.“); „კიდევ დიდხანს ვტკბებოდით სანახაობით და **წინასწარვმეტყველებდით**, რომ დროთა განმავლობაში შატაილის ციხესთან მივა მთელი საქართველო“ („კომ.“); „... მოკამათეს არ შეეძლო ეთქვა, თითქო მე... მხოლოდ პირადი გემოვნებით **ხელვმძღვანელობდე**“ (ს. ხუნდაძე).

რომელი ფორმებია სწორი და რომელი — მცდარი?

ცნობილია, რომ რთული სახელი (კომპოზიტი), მიუხედავად მისი ფუძის შედგენილობისა, ერთ სიტყვას წარმოადგენს. მორფოლოგიური და სინტაქსური თვალსაზრისით იგი ისეთსავე როლს ასრულებს, როგორსაც მარტივი ფუძის მქონე სიტყვა. დრო-კილოთა ფორმების წარმოებისას მნიშვნელობა არა აქვს იმას, ზმნის საწარმოებლად მარტივი სახელი იყო აღებული, თუ რთული, — მით უმეტეს, რომ ამ ტიპის ზმნებში გამოყენებული სახელები ერთ-მნიშვნელობიანი კომპოზიტებია. ამგვარი კომპოზიტის გათიშვა და მის შემადგენელ ნაწილებს შორის პირის ნიშნის ჩართვა კი გამართლებული არ არის. **ავადმყოფობ** და მსგავსი წარმოების მქონე ყველა სხვა შესაძლო ფორმა ქართული სალიტერატურო ენის თვალსაზრისით უმართებულო და, მაშასადამე, უკუსაგდები ფორმაა.

მართებული ფორმებია: ვავადმყოფობ, ვწინასწარმეტყველებ, ვხელმძღვანელობ, ვშუამდგომლობ, ვთანამშრომლობ, ვწედამხედველობ, ვთვალთმაქცობ, ვჩხირკედელაობ, ვსულდგამულობ და სხვ. ე. ი. ისეთი ფორმები, რომელთაც პირველი სუბიექტური პირის ნიშანი თავში მოუდით.

3. შეურაცხყოფს ტიპის ზმნები, რომელთაც ტრადიციულად რთულ ზმნებს უწოდებენ, აღწერითად არის ნაწარმოები. ისინი სახელისა (ან ზმნასთან სინტაქსურად დაკავშირებული მეტყველების სხვა ნაწილის) და ზმნის შეერთების შედეგად მიღებული ერთი მნიშვნელობის მქონე სიტყვებია. სახელი, წესისამებრ, წინ უსწრებს ზმნას. ყალიბი ასეთია: სახელის ფუძე + ზმნა (უბირატესად ყოფს ზმნა არის გამოყენებული). რთული ზმნები ახალ ქართულში იშვიათად იხმარება. მათი გამოყენების არე გაცილებით უფრო ფართო იყო ძველ ქართულში. ახალ ქართულში გავრცელებული რთული ზმნებია: შეურაცხყოფს, ცხადყოფს, უზრუნველყოფს, უვნებელყოფს, უჩინარყოფს, უგულუბელყოფს, უარყოფს, უკვდავყოფს, იავარყოფს, იძულუბულყოფს, ღირსყოფს, ხელყოფს, სრულყოფს... თანაუგრძნობს, თანაარსებობს, უკუყრის, უკუაგდებს, უკუიხედავს, უკუიქცევა, ძალუძს, ხელეწიფება და სხვ.

რთული სახელებისაგან ნაწარმოებ (ე. ი. ავადმყოფობს ტიპის) ზმნათაგან განსხვავებით, რთულ (ე. ი. შეურაცხყოფს ტიპის) ზმნებს ფორმათა აღწერითი წარმოება ახასიათებს. რთულ ზმნებში ფორმას იცვლის არა მთელი სიტყვა, არამედ მხოლოდ მისი ზმნური ნაწილი. ამის გამო პირის პრეფიქსები სახელსა (ან მასთან გათანაბრებულ მეტყველების სხვა ნაწილსა) და ზმნას შორის ჩაიხმის. შესაბამისად გვაქვს ასე: შეურაცხ-ვ-ყოფ, ცხად-ვ-ყოფ, სრულ-ვ-ყოფ, უზრუნველ-ვ-ყოფ, უგულუბელ-ვ-ყოფ, უარ-ვ-ყოფ, უკვდავ-ვ-ყოფ, ხელ-ვ-ყოფ, ღირს-ვ-ყოფ, უვნებელ-ვ-ყოფ, იძულუბულ-ვ-ყოფ, იავარ-ვ-ყოფ, თანა-ვ-უგრძნობ, უკუ-ვ-ყრი, უკუ-ვ-იქცე...

მსგავს სურათს გვიჩვენებს ობიექტური წყობის ფორმებიც: შეურაცხ-მ-ყოფს, შეურაცხ-გ-ყოფს; ღირს-მ-ყოფს, ღირს-გ-ყოფს; უზრუნველ-მ-ყოფს, უზრუნველ-გ-ყოფს; ძალ-მ-იძს, ძალ-გ-იძს; ხელ-მ-იწიფების, ხელ-გ-იწიფების...

ფორმათა ასეთი წარმოება გაბატონებულია როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში.

თანამედროვე ქართულში ზოგი რთული ზმნის პირველი სუბიექტური (იშვიათად ობიექტურიც) პირის ფორმა პირის ნიშნის ადგი-

ლის თვალსაზრისით ზოგჯერ ნორმისაგან გადახრას გვიჩვენებს — შეინიშნება როგორც პირის ნიშნის წინ გადმოწევის (ვ-სრულყოფ. ვ-უარყოფ), ისე პირის ორმაგად გამოხატვის შემთხვევები (ვ-უზრუნველ-ვ-ყოფ, შე-ვ-ურაცხ-ვ-ყოფ).

ნიმუშები:

„**ვუარყოფ** წმინდა რეჟისორულ თეატრს“ („სკ. და ცხოვრება“); „მაგრამ რა? ვერ **ვუკუაგდე** ფიქრი წამითაც“ („ახ. კომ.“); „რას უცადოს ახალგაზრდა სპეციალისტმა ფშავ-ხევსურეთში, როცა მას... სამსახურითაც ვერ **ვუზრუნველყოფთ?**“ („ლიტ. საქ.“); „ნუ **შევურაცხყოფთ** მის მგრძნობიარე არსებას“ („სოფლ. ცხოვრ.“); „მე კი არ **შევურაცხყოფ**, მაგრამ, ეტყობა, ის სულ სხვა მეთოდით ამეცადინებს [ბავშვს]“ („კომ.“); „ვერ ვაკეთებთ იმას, რისი ვაკეთებაც **გვძალუძს**“ („ახ. კომ.“); „... სარკმლიდან გამოჩენილ პეიზაჟთა შორის ერთი ახალი ლაქის აღმოჩენაც კი აღარ **გვძალუძს**“ („ცისკარი“).

ვ-უარყოფ, ვ-უკუაგდება, შე-ვ-ურაცხ-ვ-ყოფ, ვ-უზრუნველ-ვ-ყოფ, გვ-ძალუძს უმართებულო ფორმათა გამოყენების ცალკეული შემთხვევა, ბუნებრივია, მეტოქეობას ვერ გაუწევს სალიტერატურო ენაში დამკვიდრებულ მართებულ **უარ-ვ-ყოფ, უკუ-ვ-აგდება, შეურაცხ-ვ-ყოფ, უზრუნველ-ვ-ყოფ, ძალ-გვ-ძის** ფორმებს. გაცილებით უფრო რთულია **თანაუგრძნობს** ზმნის საკითხი, რადგანაც ეს ზმნა ყველაზე უფრო მეტად ავლენს მარტივ (ორგანული წარმოების მქონე) ზმნებთან გათანაბრების ტენდენციას. სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნებმა ქცევის ნიშნებთან ერთად წინ გადმოიწია და **ვ-უთანაგრძნობ, მ-ითანაგრძნობს, გ-ითანაგრძნობს, გვ-ითანაგრძნობს** ფორმები მოგვცა. ეს ფორმები ფართოდ იკიდებს ფეხს ზეპირსა და წერით მეტყველებაში და თანდათან ავიწროებს მართებულ **თანა-ვ-უგრძნობ, თანა-მ-იგრძნობს, თანა-გ-იგრძნობს, თანა-გვ-იგრძნობს** ფორმებს. ასევე არ არის სწორი **უთანაგრძნობს** ფორმის გამოყენება მესამე პირისათვის ნაცვლად მართებული **თანაუგრძნობს** ფორმისა.

4. ის მერყეობა, რომელიც ზემოთ განხილულ ზმნებთან პირველი სუბიექტური პირის ნიშნის ადგილთან დაკავშირებით შეინიშნება ენაში, ფორმათა ანალოგიური წარმოებით არის გამოწვეული. **შეურაცხყოფს** ტიპის ზმნები აღწერთი წარმოებიდან მარტივ, ორგანულ წარმოებაზე გადასვლის ტენდენციას ავლენენ (პირის ნიშანს სიტყვის თავში ირთავენ), **ავადმყოფობს** ტიპის ზმნები კი, პირიქით, **შეურაცხყოფს** ტიპის ზმნათა გავლენას განიცდიან (რის შედეგადაც

პირის ნიშანი ზმნის ფუძედ აღებული სახელის შემადგენელ კომპონენტებს შორის ექცევა).

მოსალოდნელი შეცდომების თავიდან ასაცილებლად შემოთქმულის საფუძველზე საჭიროა ავადმყოფობს და შეურაცხყოფს ტიპის ზმნები, როგორც არსებითად განსხვავებული წარმოების მქონე ზმნები, მკვეთრად გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან.

1) ავადმყოფობს ტიპის ზმნებს, რომლებიც -ობ სუფიქსით ნაწარმოები ჩვეულებრივი ნასახელარი ზმნების უღვლილებას მიჰყვება, ფორმათა მარტივი წარმოება ახასიათებს. ამის მიხედვით მართებულია ის ფორმები, რომელთაც პირველი სუბიექტური პირის ნიშანი სიტყვის თავში მოუდით.

მაშასადამე, მართებული ფორმებია: ვავადმყოფობ, ვწინასწარმეტყველებ, ვხელმძღვანელობ, ვთანამშრომლობ, ვშუამდგომლობ, ვსულდგამლობ და სხვ.

უმართებულო ფორმებია: ავადვყოფობ, წინასწარვმეტყველებ, ხელმძღვანელობ, თანავმშრომლობ, სულვდგამლობ და მისთ.

2) შეურაცხყოფს ტიპის ზმნებს, ანუ რთულ ზმნებს, ფორმათა აღწერითი წარმოება ახასიათებს. რთულ ზმნებს პირის პრეფიქსები სახელად ნაწილსა და ზმნას შორის მოუდის, შუაში ჩაერთვის. ფორმათა ასეთი წარმოება ვაბატონებულია როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში.

მაშასადამე, მართებული ფორმებია: შეურაცხყოფ, სრულვყოფ, ხელვყოფ, უზრუნველვყოფ, უარვყოფ, უკვდავვყოფ, უგულბებლვყოფ, ნათელვყოფ, ცხადვყოფ, ღირსვყოფ, თანავუგრძნობ, უკუვავადებ და სხვ. იგივე ითქმის ობიექტური პირის ნიშნების აღვილის შესახებაც. მართებული ფორმებია: შეურაცხმყოფს, უარმყოფს, თანამიგრძნობს (თანაგიგრძნობს, თანავვიგრძნობს), ძალმის (ძალგმის, ძალგვიძს) და სხვ.

უმართებულო ფორმებია: შევურაცხვყოფ, ვუზრუნველვყოფ, ვუკუვავადებ, ვუთანავგრძნობ, მითანავგრძნობს, გითანავგრძნობს, გვითანავგრძნობს, გვძალუძს და მისთ.

**არაპროტოკოლარ მსაზღვრელთა რიგი უნისიტყვებაში
(დაწმენაშუღებათა და ორგანიზაციათა სახელწოდებებში)**

ქართულში ხშირად იხმარება მსაზღვრელ-საზღვრულის შემცველი ისეთი შესიტყვებები, რომლებშიც მსაზღვრელი ნათესაობით ბრუნვაშია. ის შეიძლება აღნიშნავდეს მასალას ან ნივთიერებას (ვერცხლის კოვზი, თიხის ჯამი, ხის კიბე, ქვის სახლი, ჩითის კაბა, მატყლის წინდა, თაფლის სანთელი...), დანიშნულებას (ღვინის კასრი, ჩაის ჭიქა, მურაბის ქილა, პაპიროსის ქაღალდი...), წარმომავლობას (ზღვის კენჭი, მდინარის წყალი, ტბის თევზი, ღორის ხორცი, ძროხის რძე, ხარის ტყავი...), კუთვნილებას (ამხანაგის წიგნი, უნივერსიტეტის შენობა, მეზობლის ეზო, მტრის ჯარი...) და სხვ.

კუთვნილების აღმნიშვნელი ჯგუფის შესიტყვებებს სხვა — შეთანხმებული მსაზღვრელი რომ დაემატოს, ის ნათესაობითში დასმული მსაზღვრელის შემდეგ დაიჭერს ადგილს (ამხანაგის ორი წიგნი, უნივერსიტეტის ახალი შენობა, მეზობლის ამწვანებულ ეზო, მტრის დიდი ჯარი... (შდრ. მასალის ან ნივთიერების აღმნიშვნელ შესიტყვებებში შეთანხმებული მსაზღვრელი, რომელიც პირველ ადგილზეა: ორი ვერცხლის კოვზი, ახალი ქვის სახლი, მაღალი ხის კიბე...).

ამ ჯგუფს განეკუთვნება დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სახელწოდებების შემცველი შესიტყვებები. მაგ.: თბილისის უნივერსიტეტი, თელავის ინსტიტუტი, საქართველოს აკადემია...

შემდეგ დამატებული შეთანხმებული მსაზღვრელი აქაც შუაში ჩაისმის: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავის ბედაგოგიური ინსტიტუტი, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, ქალაქის პირველი აფთიაქი, თბილისის 55-ე სკოლა...

მაგრამ ხშირად ასეთი შესიტყვება კიდევ უფრო გართულებულია — მას ემატება ახალი მსაზღვრელები, ჩვეულებრივ, ვისიმე სახელობის ან ჯილდოს აღმნიშვნელი. ეს ახლად დამატებული მსაზღვრელიც ნათესაობითში მდგომი გეოგრაფიული სახელის შემდეგ დაისმის. გვექნება:

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი

თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო ბედაგოგიური ინსტიტუტი

აფხაზეთის მაქსიმ გორკის სახელობის სახელმწიფო უნი-
ვერსიტეტი
ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული
თეატრი

ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგი-
ური ინსტიტუტი

გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური
ინსტიტუტი

თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის მოზარდ მაყურე-
ბელთა სახელმწიფო რუსული თეატრი

თბილისის ი. გრიშაშვილის სახელობის ისტორიულ-ენოლოგრაფი-
ული მუზეუმი

თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის ბიონერთა და მოსწავლეთა
სასახლე

ვილიუსის დიდი ოქტომბრის რევოლუციის 40 წლისთავის სა-
ხელობის ჩარხსაშენი ქარხანა...

თუ სახელწოდებაში ჯილდოს აღმნიშვნელი მსაზღვრელიც შე-
დის და ვისიმე სახელობის აღმნიშვნელიც; ჯილდოს აღმნიშვნელ
მსაზღვრელს უსწრებს სახელობის აღმნიშვნელი მსაზღვრელი.
გვეჩვენა:

თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენისაწე
სახელმწიფო აკადემიური თეატრი

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის ლენინისა და შრომის
წითელი დროშის ორდენისაწე პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

ზოგჯერ თავს იყრის რამდენიმე ისეთი მსაზღვრელი, რომლებიც
სხვადასხვა ნიშნის (რიგის, დანიშნულების, თვისების, კუთვნილე-
ბის...) მიხედვით ახასიათებენ საზღვრულს (მაგ.: აკადემიური,
დრამატული, სახელმწიფო, პირველი, საშუალო, სამხედრო, ტექნი-
კური, ქართული...).

ამგვარი მსაზღვრელები; ჩვეულებრივ, ასეთი წესით ლაგდება:
პირველად რიგის აღმნიშვნელი მსაზღვრელია; მას მოსდევს კუთ-
ვნილება-დანიშნულების, შემდეგ კი — თვისების აღმნიშვნელი
მსაზღვრელები. მაგალითად:

თბილისის კაპიტან ბუხაძის სახელობის № 68 საშუალო პრო-
ფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი

თბილისის პირველი სამონტაჟო სპეციალიზებული სამმართველო

თეთრახვეის მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მექანიზებული ფერმა...

მაგრამ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ეს წესი ზოგჯერ ირღვევა. მაგალითად, ხმარობენ ასე:

თბილისის უმაღლესი საარტილერიო მეთაურთა წითელდროშოვანი წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი 26 კომისრის სახელობის სასწავლებელი

წითელწყაროს რაიონის სამთაწყაროს სპეციალიზებული მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა

საჭიროა ყველა მსგავს შემთხვევაში დაცულ იქნეს ერთიანი პრინციპი. გვექნება:

თბილისის 26 კომისრის სახელობის წითელდროშოვანი წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი საარტილერიო მეთაურთა უმაღლესი სასწავლებელი

წითელწყაროს რაიონის სამთაწყაროს მევენახეობის სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობა...

რთულია ისეთი სახელწოდებაც, რომელიც საუწყებო დაქვემდებარების აღნიშვნასაც შეიცავს. ასეთ შემთხვევაში მეთაური ორგანიზაციის აღმნიშვნელი მსაზღვრელი ყველაზე წინ უნდა დაიხსნას:

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ი. კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიო-თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

სსრკ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს თბილისის 75-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი...

ზემოთქმულის მიხედვით, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სახელწოდებების ერთგვარობისათვის გატარდეს შემდეგი წესები:

1. რამდენიმე არაერთგვარი მსაზღვრელის შემცველ დაწესებულება-ორგანიზაციათა სახელწოდებებში პირველ ადგილზე იქნება მართული (ნათესაობითში დასმული) გეოგრაფიული სახელი, შემდეგ — რიგის, თვისების ან დანიშნულების გამომხატველი მსაზღვრელები. თუ სახელწოდებაში ერთდროულად რამდენიმე ამგვარი მსაზღვრელია, ჯერ დაიწეროს რიგის აღმნიშვნელი მსაზღვრელი,

შემდეგ — დანიშნულებისა, ბოლოს კი — თვისების აღმნიშვნელი მსაზღვრელი (თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელი, თბილისის თოჯინების სახელმწიფო ქართული თეატრი).

2. ჯილდოს, აგრეთვე, გამოჩენილი პირის (ან მოვლენის) სახელობის აღმნიშვნელი მსაზღვრელი დაისვას უშუალოდ გეოგრაფიული სახელის შემდეგ, ამასთან, ისე, რომ ჯილდოს აღმნიშვნელი მოსდევდეს სახელობის აღმნიშვნელს (თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრი).

3. საუწყებო დაქვემდებარების აღმნიშვნელ სახელწოდებაში პირველ ადგილზე დაისვას მეთაური ორგანიზაციის აღმნიშვნელი მსაზღვრელი (საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგური).

მიცემითისა და სახელოვითის გაქვავებულ ფორმათა გამოყენება დროის გამოხატვისას

სალიტერატურო ქართულში დროის გამოხატვა შეიძლება როგორც ზმნისართით (ახლა, გუშინ, ხვალ, მაშინ, აღრე...), ისე გარკვეულ ბრუნვაში დასმული ისეთი სახელით, რომლის ლექსიკური მნიშვნელობა დროულ გაგებას შეიცავს, დროის ერთეულს აღნიშნავს (წელი, თვე, კვირა, საათი, დილა, ორშაბათი, ზაფხული...).

როდესაც ვადმოცემულია მოქმედების მიმდინარეობის ხანგრძლივობა, ანუ ნაჩვენებია, რამდენ ხანს ხდებოდა მოქმედება, დროის გამომხატველი სახელი, ჩვეულებრივ, მსაზღვრელიანია. მსაზღვრელად გამოყენებულია ნებისმიერი რაოდენობითი რიცხვითი სახელი, ზოგი ნაცვალსახელი და რამდენიმე ზედსართავი სახელი (ორ დღეს, შვიდ კვირას, რამდენიმე თვეს, ამდენ წელს, მთელი ზაფხულს, ცოტა ხანს... გრძელდებოდა).

ამათგან ზედსართავი სახელები, ისევე როგორც განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი ერთი, გვევლინება ერთადერთი სახელის — ხან-ის მსაზღვრელად (დიდხანს, მეტხანს, ერთხანს, ცოტა ხანს, კარგა ხანს...), ხოლო, მეორე მხრით, იმავე ხან-ის სემანტიკის გამო მას მსაზღვრელად ვერ შეეწყობა რიცხვითი სახელები და სიტყვა მთელი.

აღნიშნულ შემთხვევაში, ანუ მაშინ, როდესაც მოქმედების მიმდინარეობის ხანგრძლივობის ვადმოსაცემად მსაზღვრელ-საზღვრუელია გამოყენებული, დროის გარემოების აღმნიშვნელი სახელი პარალელურ ფორმებს გვიჩვენებს, სახელდობრ, მიცემითი ბრუნვის გვერდით დასტურდება სახელობითბრუნვიანი ფორმებიც (ორი დღე, შვიდი კვირა, რამდენიმე თვე, ამდენი წელი, მთელი ზაფხული, ცოტა ხანი... გრძელდებოდა).

ბრუნვათა ამ სახის მონაცვლეობას არ განაპირობებს არც დიალექტთა სხვაობა და არც იმ ზმნის ფორმა, რომელთანაც დროის გამომხატველი ერთეულია დაკავშირებული. ეს მოვლენა არ არის დამოკიდებული არც იმაზე, თუ რომელი არსებითი სახელით არის იგი ვადმოცემული. გამოჩაყლისს წარმოადგენს სახელი ხანი, რომელიც მეტწილად მიცემითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი და ხშირად ზმნისართადაც არის ქცეული (დიდხანს, ერთხანს, მეტხანს...).

სამაგიეროდ, სხვა თანაბარ პირობებში მიცემით-სახელობით ბრუნვათა ხმარებისას განსხვავებას ქმნის დროის გარემოების გამომხატველ სახელთა მსაზღვრელები. სახელდობრ:

1. ნაცვალსახელებთან — რამდენი, რამდენიმე, ამდენი, იმდენი... — მიცემითი ბრუნვის ხმარება დაახლოებით ორჯერ სჭარბობს სახელობითისას.

2. იმ სახელებთან, რომლებსაც მსაზღვრელად რაოდენობითი რიცხვითი სახელი ახლავს, მიცემით-სახელობით ბრუნვათა ხმარების შემთხვევები თითქმის თანაბარია.

3. თუ დროის გარემოების გამომხატველ სახელებთან მსაზღვრელად გამოყენებულია ზედსართავი სახელი მთელი (რომელიც ასეთ შემთხვევაში განსაზღვრებითი ნაცვალსახელის ფუნქციას უფრო ასრულებს), სახელობითის უჭირავს გაბატონებული ადგილი (დაახლოებით სამჯერ მეტია).

მსგავსი საკითხი დგას ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც დროის გარემოების გამომხატველ სახელს მსაზღვრელად ახლავს განსაზღვრებითი ნაცვალსახელი ყოველი. ასეთ სიტუაციაში გადმოცემულია არა მოქმედების მიმდინარეობის ხანგრძლივობა, არამედ ნაჩვენებია განმეორებული, მრავალჯის ჩადენილი მოქმედების დრო და, ამასთანავე, დროის გარემოების გამომხატველი სახელი, ჩვეულებრივ, მიცემით ბრუნვაშია (ყოველ წელს, ყოველ დილას, ყოველ ორშაბათს, ყოველ ზაფხულს... ჩამოდიოდა).

განსხვავებას ქმნის ხმოვანფუძიანი სახელები, რომლებიც მიცემითი ბრუნვის პარალელურად ხშირად ფუძის სახით არის წარმოდგენილი (ყოველდღე, ყოველდამე, ყოველთვე; ყოველკვირა, ყოველ დილა, ყოველ საღამო... წვიმდა).

დროის გარემოების აღმნიშვნელ პარალელურ ფორმათაგან ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში უპირატესობა ეძლევა მიცემითბრუნვიან სახელებს.

სახელობითბრუნვიანი ფორმების გავრცელებას, ჩანს, ხელი შეუწყობს იმ გარემოებამ, რომ ზოგჯერ დროის გარემოების გამომხატველი ესა თუ ის სახელი ბრუნვაცვალებად ობიექტად (ან, იშვიათად, რეალურ სუბიექტად) იყო გამოყენებული წინადადებაში და შესაფერის პირობებში. ბუნებრივია, სახელობით ბრუნვაში იყო დასმული. შემდეგ კი ამათი მიმსგავსებით, იგივე ბრუნვა ამ სახელებმა დროის აღნიშვნის შემთხვევაშიც გამოიყენეს (შდრ. თორმეტი საათი მოვანდომე, რამდენიმე წელიწადი გავატარე, მთელი ღამე გავათენე...).

ამით აიხსნება ის მოვლენაც, რომ, როდესაც სახელს დროული გაგება უფრო მკაფიოდ აქვს გამოხატული (ხანი), ძირითადად მიცემით ბრუნვას გვიჩვენებს, ხოლო დროის გამომხატველი სახელები, რომელთაც განსაზღვრავს სიტყვა **მთელი**, ყველაზე ადვილად იკუთვნენ სახელობით ბრუნვას.

რაც შეეხება ხმოვანფუძიან სახელთა ფუძის სახით გამოყენებას, როცა მათ მსაზღვრელად სიტყვა **ყოველი** ახლავს, ამ მოვლენას უთუოდ ხელი შეუწყობს **დღე ყოველ**, **ღამე ყოველ** და მისთ. ფორმათა არსებობამ ძველ ქართულში, სადაც ყოველი ნიშნავდა **მთელს**, ხოლო დროის გარემოებად ყველაზე ხშირად სწორედ წმინდა ფუძე იყო გამოყენებული.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დროის გარემოების გამომხატველი მსაზღვრელიანი სახელებისათვის უნდა მივიღოთ შემდეგი წესები:

1. თუ მსაზღვრელად გამოყენებულია: რაოდენობითი რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელები — **რამდენი**, **რამდენიმე**, **ამდენი**, **იმდენი...** და სიტყვა **მთელი**, ერთადერთ მართებულ და მისაღებ ფორმებად უნდა ჩაითვალოს მიცემითბრუნვიანი ფორმები.

2. მიცემით ბრუნვაში უნდა იხმარებოდეს აგრეთვე დროის აღმნიშვნელი სახელი, თუ მას მსაზღვრელად ახლავს სიტყვა **ყოველი** (**ყოველ წელს...**). გამონაკლისია კომპოზიტები: **ყოველდღე**, **ყოველღამე**, **ყოველთვე**, რომლებიც ამჟამად უკვე ზმნისართად არის ქცეული, გაბატონებულია სალიტერატურო ქართულში და დავას არ იწვევს.

3. როდესაც დროის გამომხატველ სახელს მსაზღვრელად ახლავს სიტყვა **ყოველი**, უნდა გაირჩეს, ერთი მხრით, **კვირა** — შვიდდღიანი ერთეული, რომელიც კვირადღით თავდება (**неделя**) და, მეორე მხრით, **კვირა** — შვიდდღიანი ერთეულის მეშვიდე დღე (**воскресенье**). პირველ შემთხვევაში უნდა იხმარებოდეს ფუძის სახით წარმოდგენილი კომპოზიტი — **ყოველკვირა** (**каждую неделю**), ხოლო მეორე შემთხვევაში — მიცემითის ფორმა: **ყოველ კვირას** ან **ყოველ კვირადღეს** (**каждое воскресенье**).

მაშასადამე, გვეჩნება:

ერთ, ორ, სამ, ... რამდენ, რამდენიმე, ამდენ, იმდენ, ... მთელ დღეს, საათს, წელს, ზაფხულს, ... იავადმყოფა;

ყოველ წუთს, წელს, ორშაბათს, დილას, საღამოს, ზამთარს... ელოდა;

ყოველდღე, ყოველღამე, ყოველთვის წვიმდა;

ყოველკვირა გამოდიოდა (გაზეთი ყოველკვირა გამოდიოდა);
ყოველ კვირას||ყოველ კვირადღეს მუშაობდა (ყოველ კვირას||
ყოველ კვირადღეს ნაკვეთში მუშაობდა).

თანდებულად გამოყენებული წინ და უკან სიტყვების ხმარებისათვის

ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში ზმნისართები (ზმნიზე-
დები) იხმარება დამოუკიდებლადაც და თანდებულის ფუნქციითაც.

დამოუკიდებლად ხმარებისას ზმნისართი წინადადებაში უშუა-
ლოდ ზმნა-შემასმენელს უკავშირდება. მაგ.: **ზემოთ** ავიდა, **გარშემო**
უვლის, **გვერდით** დაუჯდა, **პირდაპირ** უთხრა და მისთ.

თანდებულად გამოყენებული ზმნისართი, ჩვეულებრივ, სახელ-
თა ნათესაობითი (ან მიცემითი) ბრუნვის ფორმებს დაერთვის:
სახლის || **სახლს ზემოთ**, **ხის გარშემო**, **მალაზიის გვერდით**, **სკოლის**
პირდაპირ და მისთ.

ამგვარი სიტყვები არცთუ იშვიათია ქართულში. მათ შორის
არის ანტონიმური სიტყვები **წინ** და **უკან**.

ეს სიტყვები შეიძლება ადგილზედაც მიუთითებდეს და დრო-
ზედაც. ეს დამოკიდებულია თვით არსებითი სახელის მნიშვნელო-
ბაზე. ადგილის აღმნიშვნელ სახელებთან **წინ** და **უკან** ადგილზე
მიუთითებს (**სახლის წინ**, **სახლის უკან**), დროის აღმნიშვნელ სახე-
ლებთან კი — დროზე (ერთი **საუჯუნის წინ(ათ)**, **ცოტა ხანს** ||
ცოტა ხნის უკან).

დროული მნიშვნელობით **წინ** შეიძლება ზმნისართსაც დაერთოს
და წარმოქმნას რთული სიტყვა (მაგ., **გუშინწინ**, **შარშანწინ**). ორსა-
ვე შემთხვევაში დროის გაგებით ნახმარი **წინ** სიტყვის მნიშვნე-
ლობაა: ადრე, წინათ, მანამდე. **უკან** სიტყვას კი საპირისპირო მნი-
შვნელობა აქვს: გვიან, შემდეგ, მერმე. ამასვე მოწმობს ამ სიტყვე-
ბის დართვა მიცემითში დასმულ ნაცვალსახელებზე. შდრ.: **ამას**
წინათ და **მას უკან** (= მას შემდეგ).

წინ და **უკან** სიტყვათა საპირისპირო მნიშვნელობები ისტო-
რიულად არის დამკვიდრებული ქართულ სალიტერატურო ენაში.

წინ ძველ ქართულში **წინა**-ს სახით იხმარებოდა — როგორც
ზედსართავისა და ზმნისართის ფუნქციით, ისე წინდებულ-თანდე-
ბულის ფუნქციით და მას იგივე დროული მნიშვნელობა ჰქონდა.
რაც ამჟამად აქვს: „**წინაცა ვთქუ და აწცა... ვეტყუ**“; „**სიკუ-
დილის უენის წინა იქმოდე სიმართლესა**“ (განმარტებები და ილუ-
სტრაციები ძველი ქართულისათვის დამოწმებულია ილია აბუ-
ლაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონიდან“ (1973).

ამავე სიტყვისაგან არის მიღებული **წინათ** (< წინათ = ძვე-
ლად, ადრე, თავდაპირველად), **წინანდელი** (= უწინდელი, ადრინ-

დელი), წინასწარ (= წინდაწინ, უწინარეს), ამას წინათ (= უახლოეს წარსულში) და მისთ.

ნაწარმოებ სიტყვებსა და გამოთქმებში წინა მუდამ აღრინდელ დროზე მიუთითებს და არა შემდგომზე, მერმინდელზე: წინაქრისტიანული (= ქრისტიანობამდელი), წინარეისტორიული (= ისტორიამდელი), წინარეეოლოგიური (= რეეოლოგიამდელი), წინა გამოცემა (= აღრინდელი გამოცემა), წინა წლებში (= განვლილ წლებში) და ა. შ.

რაც შეეხება უკან (∠ უკუანა) სიტყვას, მისი დროული მნიშვნელობა, ძველი ქართულიდან მოკიდებული, „ბოლოს“, „მერმე“. „შემდგომ“ სიტყვების მნიშვნელობას უტოლდებოდა და უპირისპირდებოდა წინა-ს. მაგ.: „უკუანასა მას (∥ შემდგომსა მას) დავივიწყებ და წინასა მას მივსწუდები“... ამავე დროს გაგებით იხმარებოდა სიტყვა უკანასკნელი ∠ უკუანასკნელ. მაგ.: „უკუანასკნელ (∥ შემდგომად) ამისა, მერმე მოვიდეს.“

თანდებულის ფუნქციით უკან სიტყვის ხმარებისას (მაგ., მას უკან) მისი დროული სემანტიკა ერთადერთია — „შემდეგ“: მას უკან მრავალმა წელმა განელო = მას შემდეგ მრავალმა წელმა განელო.

ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებებში უკან სიტყვა მხოლოდ „შემდეგ“, „მერმე“ სიტყვების მნიშვნელობით იხმარება. მაგ.: „სამს თუ ოთხს თვეს უკან მოწმეების კითხვა გაათავეს და მე დიდ სატუსალოში გამგზავნეს“ (ილია); „სადილს უკან ლაზათიანად გამოიძინებდნენ ცოლ-ქმარნი“ (ილია); „ერთი საათის უკან ისე გახდა ჩემი ყანები, ნაყანარობასაც ვეღარ შეატყობდი“ (ვაჟა); „[ბავშვს] რამდენსამე თვეს უკან კბილები ამოსდის“ (ი. გოგებ.); „მკათათვეში შუადღის უკან უფრო ცხელა“ (თ. რაზიკ.)...

მაგრამ თანამედროვე ქართულ ენაში ამ საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვებს ზოგჯერ სინონიმურად, ერთი და იმავე (= ადრე, წინათ) მნიშვნელობით ხმარობენ. კერძოდ, გამოთქმა ორი საათის უკან ესმით, როგორც „ორი საათის წინ“, „ორი საათით ადრე“. მაგ.: „ერთი კვირის უკან მე ჯერ კიდევ თბილისში ვიყავი“ („ახ. კომ.“); „ჩემი ესპანური შთაბეჭდილებანი მინდა დავივიყო სიტყვებით, ოთხი წლის უკან რომ დავწერე... საფეხურთო ჩემპიონატის შემდეგ“ („ცისკ.“); „... მათ დაიბრუნეს სამი წლის უკან დათმობილი ჩემპიონის საპატიო ტიტული“ (გაზ. „მებრძოლი“); „მისი პირველი ნიშნები არცთუ დიდი ხნის უკან გამოჩნდა, როცა ერთმა... სატელევიზიო სადგურმა

ლონდონში დაიწყო ყოველკვირეული გადაცემები აშშ-დან“ („ახ. კომ“); „ცოლი სულ ორი დღის უკან მოუყვდა“ („ცისკ.“).

ამგვარი აღრევა სხვადასხვა ფაქტორითაა შეპირობებული:

1. ვინაიდან უკან სიტყვის მნიშვნელობა დაბრუნების სემანტიკასთანაა დაკავშირებული (უკან დაიხია, უკან გაბრუნდა, უკან გატრი-
აღდა, უკან მისცა = დაუბრუნა), უკან დაბრუნება დროში (დროის თვალსაზრისით) წინათ სიტყვის მნიშვნელობას დაუკავშირდა;

2. აღრევას, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო რუსულის ანალოგია-
მაც; დამოუკიდებლად ნახმარი უკან ზმნისართი ქართული შესატყვი-
სია რუსული назад ზმნისართისა. ამის კვალობაზე ასევე თარგმნიან
მას თანდებულად გამოყენებისას. მაგ.: два часа (тому) назад —
ორი საათის უკან. უგულვებელყოფილია ის გარემოება, რომ რუსული
назад და ქართული უკან ერთმანეთის შესატყვისებია მხოლოდ
სივრცის, ადგილის მნიშვნელობით და არა დროისა. დროული გა-
გება კი უკან სიტყვას მერმინდელის, შემდეგდროინდელისა აქვს
და არა ადრინდელისა, — ისევე როგორც მის საპირისპირო წინ
სიტყვას ადრინდელის გაგება ახლავს და არა მერმინდელისა.

დროული მნიშვნელობით გამოყენებულ უკან ზმნისართს სალი-
ტერატურო ქართულში მოგვიანებით შეენაცვლა ზმნისართი შემ-
დეგ. ხოლო ამავე ფუნქციით გამოყენებულმა უკან სიტყვამ პერი-
ფერიულ მეტყველებაში გადაინაცვლა და ამჟამად დიალექტურ
ფორმად აღიქმება (შდრ. სადილის შემდეგ და სადილის უკან).

ზემოთქმულის საფუძველზე თანდებულებად გამოყენებული
წინ და უკან სიტყვების ხმარებისას უნდა მივიღოთ შემდეგი წე-
სები:

1. დაუშვებლად იქნეს მიჩნეული ადრინდელი ვითარების აღსა-
ნიშნავად მართებული წინ სიტყვის ნაცვლად ან მის პარალელურად
მისი ანტონიმის — უკან სიტყვის გამოყენება, — როგორც ისტო-
რიულად გაუმართლებელი და უნიადაგო მოვლენა. ადრინდელ
ვითარებაზე მისანიშნებლად ამ სიტყვათაგან მხოლოდ წინ || წინათ
უნდა იხმარებოდეს (ერთი საუკუნის წინ || წინათ, ხუთი წუთის
წინ).

ამის შესაბამისად, საქმის წარმოებაში უკუგდებულ იქნეს ბოლო
ხანებში უმართებულოდ გავრცელებული კალკირებული გამოთქმა
უკანა რიცხვით და მის ნაცვლად რეკომენდაცია მიეცეს შემდეგ
გამოთქმებს: წინა რიცხვით (|| თარიღით), ძველი რიცხვით, გასული
რიცხვით.

2. თანდებულად გამოყენებული უკან სიტყვის ხმარება დროული მნიშვნელობით მხოლოდ შემდგომი, გვიანდელი ვითარების აღსანიშნავად იქნეს დაშვებული — როგორც ტრადიციულ, მყარ გამოთქმებში (მაგ., მას უკან), ისე თავისუფალ შესიტყვებებში „შემდეგ“, „მერმე“ ზმნისართების მონაცვლედ (ცოტა ხნის შემდეგ = ცოტა ხნის უკან). ამ სინონიმთაგან სალიტერატურო ენაში უპირატესობა შემდეგ სიტყვას მიენიჭოს.

4. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, ბიულეტენი 1-2.

საკითხი ეხება გერმანულ სახელ-გვარებსა და გეოგრაფიულ სახელებში, აგრეთვე, გერმანული წარმომავლობის საერთაშორისო სიტყვებში ch ასოთკომპლექსის ქართულად გადმოცემას.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დასტურდება ch-ის ორგვარად — ხ და ჰ ასოებით გადმოცემის შემთხვევები. მაგალითად:

ერიხ მარია რემარკი — ერიჰ მარია რემარკი

ერიხ ბეხერი — ერიჰ ბეჰერი

ჰაინრიხ ჰაინე — ჰაინრიჰ ჰაინე

ლიონ ფოიხტვანგერი — ლიონ ფოიჰტვანგერი

ციურიხი — ციურიჰი...

ch-ის გადმოსაცემად ხ-სა და ჰ-ს პარალელური ხმარების საფუძველი ის არის, რომ თვით გერმანულში ch-ის წარმოთქმა განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ რომელ ბგერებს მოსდევს იგი: a, o, u ხმოვნებისა და au დიფთონგის შემდეგ ch-ის წარმოთქმას გერმანულ ტრანსკრიფციაში x ნიშნით გამოხატავენ (ე. წ. „ach-Laut“-ი), e, i, eu, ü, l, m, n, r ფონემების შემდეგ კი — ც ნიშნით (ე. წ. „ich-Laut“-ი). x ელერადობით ქართულ ხ-ს ჩამოჰგავს, ც კი თითქოს უფრო ჰ-სკენ იხრება. ამან განაპირობა უკანასკნელ ხანებში სათანადო სიტყვების სხვადასხვაგვარად წერის ტენდენცია ქართულში: ზოგი ავტორი ch-ის ქართულად გადმოცემისას „ach-Laut“-ის ბადალად ხ-ს ხმარობს, ხოლო „ich-Laut“-ის ბადალად — ჰ-ს.

მაგრამ თვით გერმანულში x და ც მიჩნეულია არა ორ დამოუკიდებელ ფონემად, არამედ ერთი ფონემის ორ პოზიციურ ნაირსახეობად. ერთი უცხოური ფონემის ორი ნაირსახეობის გადმოცემა სხვადასხვა ქართული ასო-ბგერით კი მიზანშეწონილი არ არის, — მით უფრო, რომ ორსავე შემთხვევაში გერმანული ch-ის ქართულ ხ-დ გადმოცემას საკმაოდ მყარი ტრადიცია ჰქონდა, კერძოდ:

შლაიხერი და არა შლაიჰერი (გერმ. Schleicher)

ფიხტე და არა ფიჰტე (გერმ. Fichte)

ულბრიხტი და არა ულბრიჰტი (გერმ. Ulbricht)

ბრეხტი და არა ბრეჰტი (გერმ. Brecht)

ბეხერი და არა ბეჰერი (გერმ. Becher) მეტერნიხი და არა მეტერნიჰი (გერმ. Metternich) რაიხსტაგი და არა რაიჰსტაგი (გერმ. Reichstag).

მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ქართული ჰ ფონენა გამოიყენება საკუთრივ გერმანული h ფონემის გადმოსაცემად: Heine — ჰაინე, Beethoven — ბეთჰოვენი, Harz — ჰარცი, Hessen — ჰესენი, Heidelberg — ჰაიდელბერგი...

მაშასადამე, ქართულ ჰ-ს თავისი ფუნქცია აქვს და მისი გამოყენება სხვა ფონემის (კერძოდ, მისი ერთ-ერთი ბოზიციური ნაირსახეობის) გადმოსაცემად ზედმეტი ხდება.

ზემოთქმულის მიხედვით, ქართულ სალიტერატურო ენაში უნდა გატარდეს გერმანული ch ასოთკომპლექსის ქართულად გადმოსაცემის შემდეგი წესი:

1. გერმანულ (ან გერმანულის გზით შემოსულ) საკუთარ სახელებსა და გერმანული წარმომავლობის საერთაშორისო სიტყვებში ch ასოთკომპლექსი ქართულად ყველა შემთხვევაში უნდა გადმოიცეს ხ გრაფემით.

ამგვარად უნდა იწერებოდეს:

აახენი (Aachen)	კირხნერი (Kirchner)
აიზენახი (Eisenach)	კირხჰოფი (Kirchhof)
აიხბიული (Aichbühl)	კოხერი (Kocher)
აიხენდორფი (Eichendorff)	კოხი (Koch)
ალბრეხტი (Albrecht)	ლანდსკნეხტი (Landsknecht)
ბახი (Bach)	ლაუხჰამერი (Lauchhammer)
ბეხერი (Becher)	ლიბკნეხტი (Liebknecht)
ბოხუმი (Bochum)	მეტერნიხი (Metternich)
ბრეხტი (Brecht)	მიუნხენი (München)
ბუხენვალდი (Buchenwald)	ნახტიგალი (Nachtigal)
ბუხი (Buch)	ოფენბახი (Offenbach)
ბუხჰოლცი (Buchholz)	პუხტა (Puchta)
გლაუხაუ (Glauchau)	რაიხენაუ (Reichenau)
გორბახი (Gorbach)	რაიხენბახი (Reichenbach)
დახაუ (Dachau)	რაიხსტაგი (Reichstag)
დირიხლე (Dirichlet)	როიხლინი (Reuchlin)
ერიხი (Erich)	ულბრიხტი (Ulbricht)
ეშენბახი (Eschenbach)	ფილახი (Villach)
ზალცახი (Salzach)	ფიხტე (Fichte)

ფლიერბახი (Feuerbach)	შტრიხი (Strich)
ფოიხტვანგერი (Feuchtwanger)	შუმახერი (Schumacher)
ფრიდრიხი (Friedrich)	შუხარდტი (Schuchardt)
შლაიხერი (Schleicher)	ციურიხი (Zürich)
შტაინახი (Steinach)	ხემნიცი (Chemnitz)
შტრაიკბრეხერი (Streibrecher)	ჰაინრიხი (Heinrich)

2. ქართული ჰ ასო-ბგერა დარჩეს მხოლოდ გერმანული h ასო-ბგერის შესატყვისად: ჰერმან ჰესე — Hermann Hesse, ბეთჰოვენ — Beethoven, ჰაინრიხ ჰაინე — Heinrich Heine და სხვ.